დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის N14
და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N6 სხდომის გადაწყვეტილებით,
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 დეკემბრის N11 სხდომისა და
წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 20 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებით

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პასკალის პრემია ახალგაზრდა მეცნიერთათვის

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევით პროცესში ჩართულობის ხელშესაწყობად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აწესებს პასკალის პრემიას - სპეციალურ ფულად ჯილდოს, რომლის ოდენობა 3000 ლარია.

2. პრემია გადაეცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ, აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის, რომელსაც ექნება სტატიის სახე.(ცვლილება 30.12.2025წ.)

3. პასკალის პრემიის მიღება შეუძლიათ მეცნიერებს, რომლებსაც განაცხადის შემოტანის მომენტისათვის ჯერ არ შესრულებიათ 36 წელი.

4. ჯილდო ერთ ავტორზე გაიცემა მაქსიმუმ ორ სტატიაზე, ამ წესის მე-3 პუნქტით განსაზღრული ასაკის ფარგლებში.

5. პასკალის პრემიის მიღებაზე განაცხადი უნდა შეიცავდეს:
   ა) განცხადებას რექტორის სახელზე, რომელშიც კანდიდატმა უნდა აღნიშნოს ჯილდოს მიღებაზე მის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციის განხილვის სურვილი;
   ბ)გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილაცია.(ცვლილება 30.12.2025წ.)
   გ) პირადობის მოწმობის ასლი;
   დ) გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციის (სტატიის) ასლი.

6. პასკალის პრემიაზე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული Clarivate Analytics-ის ბაზაში შემავალ თემატურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და ასახული აღნიშნული ბაზის საძიებო სისტემაში; პრემიას მიიღებენ იმ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები, რომელთა აიგენფაქტორის ქულა (Eigenfactor Score)[1] მაღალია. გამონაკლისია

[1] ჟურნალის აიგენფაქტორის ქულა ასახავს ბოლო 5 წლის განმავლობაში ჟურნალის ციტირებული შინაარსის ციტირების ქსელის სიხშირეს (density of the network of citations) და ეყრდნობა Clarivate Analytics-ის ბაზაში ჟურნალების ციტირების ანგარიშის (Journal Citation Reports) მონაცემებს. ის ითვალისწინებს როგორც ციტირებების რაოდენობას, ასევე ამ ციტირებების წყაროებსაც, იმგვარად, რომ მაღალი ციტირების მქონე წყაროები ავლენდეს მეტ გავლენას ციტირების ქსელზე დაბალი ციტირების წყაროებთან შედარებით. აიგენფაქტორის ქულის გაანგარიშებისას თვით-ციტირება არ მიიღება მხედველობაში. პასკალის პრემიისათვის შესაბამისი დარგის ჟურნალების ჩამონათვალის რანჟირება გაკეთდება აიგენფაქტორის ქულის მიხედვით ყველაზე მაღლიდან ყველაზე დაბალ მაჩვენებლებამდე. პრემია გაიცემა იმ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებიც შედის ასეთი სიის 50 %-ში.

ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთა შემთხვევაშიც Clarivate Analytics -ის ბაზაში შემავალ თემატურ ჟურნალში გამოქვეყნება და ამავე ბაზის საძიებო სისტემაში სტატიის ასახვა საკმარისი პირობაა პრემიის მისაღებად.

7. კანდიდატი უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ან კვლევითი პერსონალი, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, ან უნივერსიტეტში დასაქმებული ნებისმიერი პირი, გარდა გრანტებში მოწვეული პირებისა.(ცვლილება 30.12.2025წ.)

8. ჯილდო შეიძლება მიეცეს კანდიდატს, რომელიც არის სტატიის პირველი ან მეორე ავტორი.

9. სამეცნიერო გრანტის ფარგლებში მოწვეული პერსონალის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაცია არ იქნება განხილული პრემიისთვის, გარდა ამ წესის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კანდიდატებისა.

10. დოქტორანტი კანდიდატის შემთხვევაში წარმოდგენილი შეიძლება იყოს სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად.

11. სტატიის თანაავტორად შეიძლება მითითებული იყოს სტუდენტის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, მაგრამ არა როგორც პირველი ავტორი.

12. იმ შემთხვევაში, თუკი სტატიას ჰყავს ერთზე მეტი ავტორი, და მისი პირველი და მეორე ავტორი აკმაყოფილებს მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, პრემია, 3000 ლარის ოდენობით, განაწილდება ორივე ავტორზე.

13. მე-12 მუხლში განსაზვღრულ შემთხევაში, მე-5 მუხლში მითითებული განაცხადი უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორთა იმ ჯგუფის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის პირობებს.

14. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს არაუადრეს 2014 წლის 1 იანვრისა.

15. კანდიდატის განაცხადში მითითებული მონაცემების ანალიზს და დასკვნას ამზადებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახური; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

16. გარდამავალი დებულება:

იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატს 2024 წლის 1 აგვისტომდე მიღებული აქვს 2 ან მეტი პასკალის პრემია, მისი განაცხადი არ იქნება განხილული პასკალის პრემიის მიღებაზე.